

# ანგლიციზმები ქართულ და გერმანულ ეკონომიკურ პრესაში

## ლელა ნოზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების  
და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა  
(ევროპული - რუსული - აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ლაფაჩიშვილი, მონვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“*

ლელა ნოზაძე,

8 ივლისი 2020

## აბსტრაქტი

ენა სოციალური ორგანიზმია და მას დროსა და სივრცეში მუდმივი ცვალებადობა და მოქნილობა ახასიათებს. გლობალიზაციის ფონზე, ამერიკული ეკონომიკისა და კულტურის გავლენის გაძლიერების თანაზიარ, მსოფლიოში სწრაფად იზრდება ინგლისურენოვანი სიტყვების გამოყენების ტენდენცია, რაც ვლინდება საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სოციალურ სფეროში. მოცემულ ნაშრომში, ერთის მხრივ, განხილულია გლობალიზაციის ენობრივი ასპექტები და მისი ლინგვისტური გამოვლინება. მეორეს მხრივ, საუბარია კონკრეტულად ქართულ და გერმანულ ლექსიკაში ანგლიციზმების დამკვიდრების ისტორიაზე, გავლენის სფეროებზე და ინტეგრაციაზე.

კვლევის უშუალო ნაწილი მოიცავს ქართულ და გერმანულ ეკონომიკური შინაარსის პრესაში არსებული ანგლიციზმების გაანალიზებას რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის პრინციპებითა და ურთიერშეპირისპირებითი მიდგომით. კვლევის კორპუსის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ზემოხსენებული ენები ეკონომიკური ანგლიციზმების მიმღებლობის თვალსაზრისით თვისობრივად ერთმანეთის მსგავსია; გერმანულ ეკონომიკურ ენაში ანგლიციზმები ქართულ ენისგან განსხვავებით, უმეტესწილად ექვემდებარება ენის, ფონეტიკურ და, ასევე, მორფოლოგიურ მახასიათებლებს; არსებობს შესაძლებლობა ქართულ ტექსტებში ინგლისურიდან პირდაპირ გადმოტანილი ტერმინებს შინაარსის შეცვლის გარეშე შევუსაბამოთ ქართული შესატყვისები. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ ზოგიერთი ინგლისურენოვანი ტერმინის ტრანსლიტერირება არამიზანშენილია და უმჯობესია დავტოვოთ უცვლელად.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ეკონომიკური ანგლიციზმები, ქართული ეკონომიკური ენა, გერმანული ეკონომიკური ენა

## **Abstract**

Language is a social construct and it is characterized by constant change and flexibility in time and space. In the ongoing process of globalization, along with the strengthening of the influx of the American economy and culture, the tendency to use English-originated words internationally is rapidly growing, which is manifested in all social spheres of public life. This paper, on the one hand, discusses the linguistic aspects of globalization and its linguistic implication. On the other hand, the paper includes particularly the history of the adaptation of Anglicisms in the Georgian and German lexis, its spheres of influence and integration.

The research part of the paper evolves the analysis of the Anglicisms in the Georgian and German economic press according to the principles of quantitative research methodology and the contradictory approach. An analysis of the research corpus, which comprises 7,000 Georgian and 3,000 German words, revealed that the above-mentioned languages are relatively similar in terms of accepting economic Anglicisms into their lexis; In the German economic language, Anglicisms, unlike the Georgian language, are largely transferred in accordance to the German linguistic, phonetic, and also morphological features; There is a possibility to use original Georgian words instead of its English equivalents without changing the initial content. Research has also shown that transliteration of some English-language terms is inappropriate and it is better to leave them invariably.

**Key Words: Economic Anglicisms, Georgian Economic Language, German Economic Language**